ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 218

« 27 » ივნისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.038) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური მეწარმე „გია ნიშნიანიძე"-სთვის (ს/კ: 01008005544) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.038) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური მეწარმე „გია ნიშნიანიძისთვის" (ს/კ: 01008005544) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 24 მაისის №18.09.351 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.038) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური მეწარმე „გია ნიშნიანიძე"-სთვის (ს/კ: 01008005544) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 200 (ორიათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი